განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
30.05.2022
დასკვნის წარდგენის თარიღი
1.08.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული სტომატოლოგი
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული სტომატოლოგი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0911
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	რუსული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ მარგველაშვილი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი , საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო წილოსანი,გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლომიძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი , საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბუაძე,სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2020 წლის 14 აგვისტოს.პროგრამის მიზანია კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება, რომელიც მზად არის დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალიზაციისთვის. პროგრამის მიზნები შეესაბამება თსსუ-ის მისიასა და ღირებულებებს.

პროგრამის მოცულობა 300 ECTS კრედიტია, მოიცავს 10 სემესტრს, მათ შორის:

-**106 კრედიტი** (ბიოსამედიცინო,სოციალური და პრეკლინიკური სასწავლო კურსი)

-**132 კრედიტი** (პროფილური კლინიკური სასწავლო კურსი)

-**52 კრედიტი** (არაპროფილური კლინიკური სასწავლო კურსი)

-**10 კრედიტი** (არჩევითი სასწავლო კურსი)

აღსანიშნავია,რომ პროგრამაში პროფილურ საგნებში ხორციელდება კლინიკური ინტეგრაციის 2 კურსი: **„ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია“** - და **„ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია“**. 2021-2022 სასაწავლო წლიდან II სემესტრში დაემატა **„სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდების ფიზიკური საფუძვლები სტომატოლოგიაში“** – 2 კრედიტი.

სააკრედიტაციო პერიოდის განმავლობაში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები სტუდენტის მიღწევის შეფასების წესში, რომელიც ამოქმედდა 2021/2022 სასწავლო წლიდან. კერძოდ, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების გათვალისწინებით უგროვდება **51 ქულა**. ასევე, განისაზღვრა დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა,რაც წარმოდგენილია სასწავლო კურსის/მოდულის შუალედური შეფასების ფორმის ცალკეული კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დასკვნითი შეფასების ფორმის ცალკეული კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრა შესაბამისი სასწავლო კომპონენტის (სასწავლო

კურსის/მოდულის/სხვ.) სილაბუსით. ის არ აღემატება დასკვნითი შეფასების ამ კომპონენტის 50%–ს.

სააკრედიტაციო პერიოდში ასევე განხორციელდა პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტის გაერთიანება ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტთან. გაერთიანდა კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის და ფანტომური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტები და შეეცვალა სახელწოდება. დეპარტამენტს დაერქვა ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 30 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის(რუსულენოვანი)პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას გაიმართა შეხვედრები:
• უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
• თვითშეფასების ჯგუფთან
• პროგრამის ხელმძღვანელთან
• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
• აკადემიურ პერსონალთან
• მოწვეულ ლექტორებთან
• სტუდენტებთან
• კურსდამთავრებულებთან
• დამსაქმებლებთან

ინტერვიუები მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, რეგლამენტის დაცვით. შედგა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ბაზები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის) სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის გათვალისწინებით.შემუშავებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების (დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების) წესის შესაბამისად.
- მნიშვნელოვანია,რომ პროგრამის მიზანი რეალისტურია, მიღწევადია უსდ-ის მიერ, გათვალისწინებულია და მიმოხილულია როგორც ლოკალური შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. ასევე,პოტენციურ დამსაქმებელთა რეკომენდაციები. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

- პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს, სადაც ასახულია პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, დარგის სპეციფიკური უნარ-ჩვევების და თანამედროვე ეთიკური ღირებულებებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის სისტემის ჩამოყალიბება. ის თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის რელევანტურ შედეგებთან.
- სტუდენტებისათვის უსდ-ს მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე წინაპირობები.
- პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზას. სწავლების პროცესში ფასდება აკადემიური,მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე,მოქმედებს შიდა და გარე შეფასების სისტემები.
- პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხარჯები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებისთვის, ბიბლიოთეკისათვის განახლებისთვის და სხვ.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანი შეფასება;
-პროგრამაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს X სემესტრში მოდულური სწავლების სპეციფიკა,ასევე ფინალური გამოცდის ჩაბარების დეტალები

--გაძლიერდეს რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ჩართულობა გაცვლით პროგრამებში

-გაძლიერდეს ქართული ენის მეტად ინტეგრირება პროგრამაში

-დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა დამსაქმებელთა ჩართულობისთვის პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებაში
-გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის მიერ ან გარე ჩატარებულ ღონისძიებებში
-გაძლიერდეს ქართული ენის სწავლების კომპონენტი
-კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში
-დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა კურსდამთავრებულთა პროგრამის განვითარებაში ჩართულობისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-საპილოტე ინტეგრირებული OSCE
-პროგრამაში წარმოდგენილია ინტეგრირებული სასწავლო კურსები
-კურსი „კომუნიკაციური უნარები“ , რომლის მიზანია, სტუდენტს გამოუმუშავოს პროფესიულთან ერთად ,მსმენელისთვის გასაგები ლექსიკით კომუნიკაციის/მსჯელობის უნარი პაციენტებთან, სამედიცინო გუნდთან, კოლეგებთან.
-თსსუ-ის აპ.ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი საფანტომო-სიმულაციური კლასის არსებობა

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ შესაბამისად. განხორციელდა შეფასებისას ქულების მინიჭების კრიტერიუმების დეტალიზაცია. დაკონკრეტდა საკონსულტაციო საათები.
- განხორციელდა პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტის გაერთიანება ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტთან. გაერთიანდა კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის და ფანტომური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტები და შეეცვალა სახელწოდება. დეპარტამენტს დაერქვა ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი.
- 2021-2022 სააწავლო წლიდან II სემესტრში დაემატა „სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდების ფიზიკური საფუძვლები სტომატოლოგიაში“ – 2 კრედიტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან: • დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლებაში სწავლების, კვლევის და პროფესიული მზადების გზით ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება; • მონაწილეობა მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებასა და განხორციელებაში • კურსდამთავრებულების აღჭურვა ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით. მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი. დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა თანხვედრაშია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან და პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მისი ძირითადი მიმართულებების განვითარებას. აქტივობებში ჩართულია აკადემიური პერსონალი, თუმცა გაცვლით პროგრამებში რუსულენოვანი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ჩართულობა არ აღინიშნება. ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიმოხილვის მიხედვით დააკვნა, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოა, ნათლად ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული უნდა მოამზადოს პროგრამამ. დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტის მომზადებას. პროგრამა მომართულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე. მისთვის როგორც საბაზისო მეცნიერებების, ასევე სტომატოლოგიაში ეროვნული და საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნის და ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარის შეძენისაკენ. პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური, დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება; კურსდამთავრებულთა საერთაშორისო დონეზე აღიარების, მობილობის უზრუნველყოფა. ასევე, იმ დარგობრივი უნარების განვითარება, რომლის შედეგად, პროგრამის დაძლევის შემდეგ, დიპლომირებული სტომატოლოგი შეძლებს მუშაობის გაგრძელებას კანონმდებლობის ფარგლებში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძ.#244/ნ, 16/07/2009).

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებლების რეკომენდაციებს. პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, რაც აისახა მის მიზნებში, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, მისთვის საბაზისო მეცნიერებების, სტომატოლოგიაში ეროვნული და საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნის და ამ ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარის შეძენა; პროგრამის მიზნები მიმართულია სტუდენტისთვის კრიტიკული აზროვნების, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების გამომუშავების, პაციენტთან და მის ახლობლებთან კომუნიკაციის, კონსულტაციის, სხვისი პოზიციის მოსმენის, პოლემიკაში შესვლის, კოლეგების აზრის გათვალისწინების უნარის შეძენისაკენ'.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები; • უნივერსიტეტის სტრატეგია; • ფაკულტეტის დებულება; • თსსუ-ში „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი"; • სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; • კურსდამთავრებულებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; • თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; • სტომატოლოგიის ფაკულტეტისა და მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის გაერთიანებული საბჭოს და აკადემიური საბჭოს/-ების სხდომის ოქმის ამონაწერები პროგრამის დამტკიცების შესახებ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ რეაკრედიტაციის პერიოდში პროგრამასა და კურსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობით პროგრამის სწავლის შედეგები აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად მოდიფიცირდა, რაც გამოიხატა სწავლის შედეგების დაჯგუფებით და გამსხვილებით.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომელსაც კურსადმთავრებული ფლობს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სტრუქტურა შემადგენელი კომპონენტებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის დაძლევის შედეგად მიღწეული სწავლის შედეგი კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით გამოიხატება. პროგრამის სწავლის შედეგები ზედმიწევნით დაწვრილებით არის გაწერილი და თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ შედეგებთან . პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის ძირითადი თეორიული ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები, ტრანსფერული უნარები,პროფესიული ღირებულებები, როგორიცაა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბება კურსდამთავრებულებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი. ის გარკვეული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომლითაც ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით ხდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, განისაზღვრება სწავლის შედეგების მიღწევადობა. ყველა ამ მონაცემის და შედეგის გაანალიზების შედეგად ხდება პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.პროგრამის სწავლის შეფასება ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით, ფასდება 2 მეთოდით: პირდაპირი მეთოდით, რითაც სტუდენტის აკადემიური მონაცემების ანალიზით მოწმდება მის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი და შეფასების არაპირდაპირი მეთოდით, რითაც სტუდენტის თვითშეფასების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად.

პროგრამის შედეგების შეფასება და ანალიზი დაედო საფუძვლად გარკვეული ცვლილებების განხორციელებას პროგრამაში : გაიზარდა ელექტიური საგნების წილი

სტუდენტის ზოგადი სამედიცინო განათლების განვითარებისათვის,გაიზარდა კლინიკური დატვირთვის წილი საფანტომო კურსის ხარჯზე. განხორციელდა რამდენიმე კლინიკური კურსის ინტეგრაცია. სწავლის შედეგებში ასახულია დამსაქმებელთა მოთხოვნები, დარგის სპეციფიკა და გათვალისწინებულია შიდა და საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა პერსონალი, სტუდენტი,დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა სპეციალობისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობა. პროგრამით განსაზღვრული, სრულყოფილი სწავლის შედეგის მიღწევისათვის კლინიკურ სასაწავლო კურსებში სასაწავლო საათების გაიზარდა საფანტომო კურსების ხარჯზე. პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება უმეტესად ხდება პაციენტთან მუშაობის დროს რის საშუალებასაც იძლევა უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის უსდ-ში დიდი ყურადღება ეთმობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირს, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას მოახდინოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიკაცია, გამოკვეთოს საჭიროებები და გაუმჯობესოს საკუთარი აკადემიური მოსწრება და სწავლის შედეგების მიღწევის გზები. ინტერვიუს პროცესში დამსაქმებლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები სწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის გარკვეული ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით. ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა,რომ დამსაქმებელი არასაკმარისად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სილაბუსები; • სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; • უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsmu.edu • სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანი შეფასება; --დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა დამსაქმებელთა ჩართულობისთვის პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებაში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტთა ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია უფასოა და წარმოებს ადგილზე შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათი ქართული თარგმანის წარდგენისას. თსსუ-ში რუსულენოვან საგანმანათლებლო სტომატოლოგიის პროგრამაზე ხდება მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, რაც აღნიშნულია თვითშეფასებისა და პროგრამის დამტკიცების დოკუმენტში და გამოვლინდა ინტერვიუს პროცესში. დაშვების წინაპირობაა უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება. საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით პირებს, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში, შეუძლიათ ისარგებლონ მობილობით. საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე დაშვებულია იმ საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც უცხპ ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში. რუსული ენის ცოდნის კომპეტენციის დადგენა ხდება პირადი გასაუბრების საფუძველზე (ადგილზე) ან სკაიპით. გასაუბრების შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომი და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების საფუძველზე)

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის მოცულობა 300 ECTS კრედიტია, მოიცავს 10 სემესტრს, იწყება ბიოსამედიცინო, სოციალური და პრეკლინიკური მეცნიერებების ციკლით - 106 კრედიტი (ადამიანის ანატომია, ადამიანის ფიზიოლოგია, სამედიცინო ბიოლოგია და პარაზიტოლოგია, ფარმაკოლოგია და სხვ.), რომლის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი გადადის კლინიკური დისციპლინების ციკლზე - 184 კრედიტი, სადანაც 52 არაპროფილური (შინაგანი სნეულებანი, ზოგადი ქირურგია, პედიატრია და სხვ.), ხოლო 132 პროფილური კლინიკური დისციპლინებითაა წარმოდგენილი (საფანტომო ოპერაციული ოდონტოლოგია, პირის ღრუს ქირურგია, ორთოდონტია, კლინიკური პაროდონტოლოგია, კლინიკური ორთოპედია, ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტიის კლინიკური ინტეგრაციის კურსი და სხვ.). პროგრამაში არსებობს ასევე არჩევითი კურსები - 10 კრედიტი (ფიზიკური ფაქტორებ სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, ტრავმატოლოგია, რეანიმატოლოგია და სხვ.). 2021-2022 სააწავლო წლიდან II სემესტრში პროგრამას დაემატა ელექტიური კურსი „სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდების ფიზიკური საფუძვლები სტომატოლოგიაში“ – 2 კრედიტი. თითოეულ სასწავლო კურსს გააჩნია დაშვების წინაპირობა, პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, პრერეკვიზიტული და მემკვიდრე დისციპლინები პარალელურ რეჟიმში არ ისწავლება, მათ შორის - არც საგნის განმეორებითი მოსმენის დროს. სტომატოლოგიის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში საბაზისო და პრეკლინიკური დისციპლინების შესწავლის შემდგომ, გათვალისწინებულია საეტაპო ბარიერი, რომლის გადალახვა სწავლის შემდგომ კლინიკურ ეტაპზე გადასვლის აუცილებელი წინაპირობაა. სასწავლო კურსებში თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ურთიერთშეჯერება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. თეორიული მეცადინეობები მოიცავს: ლექციებს, პრეზენტაციების მიმოხილვას, დისკუსია- დებატები, კლინიკური შემთხვევის ანალიზი, CBL და სხვა. პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს, საფანტომო მოდელებზე, ხელოვნურ და ექსტრაგირებულ კბილებზე სხვადასხვა მანიპულაციებს, აგრეთვე პაციენტთან მუშაობას პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ. ზემოთ აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს სწავლა- სწავლების მეთოდების სრულყოფას, სტუდენტთა კომპეტენციების განვითარებას როგორიცაა: ცოდნა გაცნობიერება, უნარები, ავტონომიურობა პასუხისმგებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ვებგვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-დარგობრივი სასწავლო კურსების ინტეგრაცია
-კომუნიკაციური უნარების სწავლება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამაზე ძირითადი აქცენტი კეთდება პრაქტიკულ უნარ ჩვევებზე, თუმცა სტუდენტთა თეორიულ ცოდნასაც დიდი ყურადღება ენიჭება. სასწავლო პროგრამა მუდმივ განახლებაშია. ამის დამადასტურებელია ელექტიური და ინტეგრირებული სასწავლო კურსების დამატება პროგრამაში. ელექტიური საგნების დამატება მოხდა მეორე და მეოთხე სემესტრში ეს საგნებია ,,ბიოფარმაციის საფუძვლები'', ,,ფიტოთერაპიის საფუძვლები'', ,,ლიდერობა'' და ,,ფიზიკური ფაქტორები სტომატოლოგიურ პრაქტიკაში''. 2021-2022 სასწავლო წლიდან II სემესტრში დაემატა ელექტიური კურსი „სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდების ფიზიკური საფუძვლები სტომატოლოგიაში". პროგრამას მეათე სემესტრში დაემატა კლინიკური ინტეგრაციის ორი კურსი ,,ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია'' და ,,ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია'' ასევე მეათე სემესტრში მოხდა კურსის ,,კომუნიკაციის უნარები''-ის დამატება, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის თითოეული შედეგი იმ დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით განისაზღვრება, რომელიც სტუდენტმა უნდა მოიპოვოს კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ. სილაბუსები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. კლინიკურ სასწავლო კურსებში სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული აქტივობის დღიური, სადაც გაწერილია მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ სავალდებულო მანიპულაციების ჩამონათვალი. სასწავლო კურსების სილაბუსებში ზედმიწევნითაა გაწერილი პედაგოგებთან საკონსულტაციო საათები. საბაზისო და სპეციალური კურსების სილაბუსებში განახლებულია ძირითადი და დამხმარე რუსულენოვანი ლიტერატურა, რაც დადასტურდა ბიბილიოთეკაში ვიზიტისას. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში პაროდონტოლოგიაში ძირეული ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, შეიცვალა მიდგომები პაროდონტისა და პერიიმპლანტის მდგომარეობათა და დაავადებათა კლასიფიკაციის, დიაგნოსტირებისა და მკურნალობის კონტექსტში, თსსუ-ს რუსულენოვანი პროგრამის სილაბუსებში- „პრეკლინიკური პაროდონტოლოგია", „კლინიკური პაროდონტოლოგია" და „პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები ბავშვთა ასაკში" შეტანილია ცვლილებები, თუმცა, რელევანტური რუსულენოვანი ლიტერატურის ბაზარზე არ არსებობის გამო დამატებულია ე.წ. „ჰენდაუთები", რომელიც ახალი, 2019 წლის ამსტერდამის კლასიფიკაციის შესაბამისად (პაროდონტის კომპლექსის და პერიიმპლანტის მდგომარეობები და დაავადებები) უცხოენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობითაა შემუშავებული. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ელექტრონულ ბაზაში ყველა წიგნი არ არის ატვირთული, თუმცა სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად ხდება მათი ბაზაში განთავსება,ასევე მუდმივად ახლდება წიგნადი ფონდი.ეს ფაქტები დადასტურდა ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს, სადაც წარმოდგენილია უნივერსიტეტის მიერ ახლად შეძენილი ბოლო წლების (2020, 2021) უახლესი მეთოდური და სასწავლო ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გააჩნია ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც სწავლების საწყის ეტაპზე პრაქტიკული უნარების ათვისება ხდება თანამედროვე აღჭურვილობის მქონე საფანტომო კლასებში მანეკენებზე, ფანტომებსა და სიმულატორებზე, ხოლო სწავლების კლინიკურ ეტაპზე კლინიკური უნარების დახვეწა მიიღწევა დეპარტამენტებში პაციენტების მიღებით მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. თსსუ-ს საკუთრებაშია: თსსუ- პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა; თსსუ- გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა; თსსუ- აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა; თსსუ- №1 სტომატოლოგიური კლინიკა; თსსუ- №2 სტომატოლოგიური კლინიკა; თსსუ- აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა - მატერიალური რესურსების დათვალიერებისას დაფიქსირდა 5 საფანტომო კლასი, თითოეული გათვლილი 10 სტუდენტზე. კლასი განახლებული და აღჭურვილია ახალი საფანტომო მულაჟებით და სიმულაციური აპარატით. სალექციო კურსის წასაკითხად გამოყოფილია სათანადო ინვენტარითა და საკომუნიკაციო საშვალებით აღჭურვილი აუდიტორია. თსსუ- №1 სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე ხორციელდება ორთოპედიული სტომატოლოგიის სასწავლო კურსი. სტუდენტის განკარგულებაშია 4 სტომატოლოგიური დანადგარი სადაც პაციენტებს შეუძლიათ სტუდენტებს ორთოპედიული პაციენტების მიღება პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ. ასევე კლინიკაში არის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც ხდება სტუდენტების მიერ სატექნიკო სამუშაოების შესრულება. რაც შეეხება სამეცნიერო კვლევით უნარებს, ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ სტომატოლოგიის რუსულენოვანი პროგრამის სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართულები კვლევით პროექტებში, თუმცა უნივერსიტეტს გააჩნია ძლიერი სამეცნიერო ბაზა და ჩართულები არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სურვილისამებრ ყოველწლიურად სხვადასხვა კლინიკაში გაიარონ სტაჟირება - პრაქტიკა, თუმცა პაციენტთან კომუნიკაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართული ენის შესაბამის დონეზე ცოდნა . სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ ამ შემთხვევაში ლექტორი ეხმარება სტუდენტებს თარგმნაში, ამდენად, ლოგიკური იქნება პროგრამაში ქართული ენის კომპონენტის გაძლიერება. ქართული ენის უკეთ შესწავლის სურვილი ნათლად დაადასტურეს სტუდენტებმაც . თსსუ–ს პარტნიორია მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნის 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტების (ERASMUS+) ფარგლებში, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს არ გამოიკვეთა რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ჩართულობა გაცვლით პროგრამებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან.
- ინტერვიუს შედეგები
- მატერიალური რესურსების, პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-გაძლიერდეს რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ჩართულობა გაცვლით პროგრამებში

-გაძლიერდეს ქართული ენის მეტად ინტეგრირება პროგრამაში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევებს. სწავლების პროცესში გამოიყენება მთელი რიგი მეთოდები, რომლის საშუალებითაც ხდება სტუდენტთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლინება და ანალიზის უნარი. სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდებია:

- ✓ ლექცია
- ✓ დებატები
- ✓ თანამშრომლობითი სწავლება
- ✓ წიგნზე მუშაობა
- ✓ როლური თამაშები
- ✓ პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისება - თავდაპირველად სტუდენტი იწყებს მუშაობას საფანტომო მულაჟებზე და სიმულატორებზე , შემდგომ პაციენტებთან პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ კლინიკებში
- ✓ კლინიკურ გარემოში სწავლება
- ✓ კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL)
- ✓ კომუნიკაციის სწავლების მეთოდი -სტუდენტს უვითარებს პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობას.

სტუდენტებთან ინტრევიუს პროცესში გამოვლინდა აკადემური პერსონალის მზადყოფნა და გაწერილი გეგმა-გრაფიკი საკონსულტაციო საათებისათვის. სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებიდან განმომდინარე, სტუდენტების აკადემიური მომზადების დონის ასამაღლებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ ინტერვიუს შედეგები
- ○ სწავლება-სწავლის მეთოდები
- ○ საგანმანათლებლო პროგრამა
- ○ სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N-3 ბრძანება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი და ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემის (ECTS), საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანების, საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანება. პროგრამის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. ამისთვის ყველა სილაბუსში შეფასების თითეული მეთოდისთვის გამოყენებულია მკაფიოდ ჩაშლილი გაზომვადი კრიტერიუმები ქულების გრადაციით. მაგალითად, დეტალურადაა გაწერილი შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა აკადემიური აქტივობა- ცოდნის თეორიული კომპონენტი, ასევე კლინიკური უნარები- კომუნიკაციის უნარები (ანამნეზის შეკრება), სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, დაავადების დიაგნოსტირება, კვლევის ინსტრუმენტული, თუ ლაბორატორიული მეთოდების მეშვეობით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია (კლინიკური აზროვნების უნარები), კომპლექსური მკურნალობის გეგმის შემუშავება პაციენტის ინდივიდური თავისებურებების გათვალისწინებით, ექიმის ასისტირება, მანუალური კლინიკური უნარები (შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში) და სხვა. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირ/წერით გამოცდაზე, გამოიყენება ტესტები (MCQ), კლინიკური უნარების შესაფასებლად გამოიყენება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), კლინიკური უნარები ფასდება სიმულაციურ პაციენტებთან, დანერგილია უკუკავშირის (FB) პრაქტიკა.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), სტუდენტთა და სადგურის შემფასებლების გამოკითხვაზე, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ყოველწლიურად იცვლება/იხვეწება. (OSCE) ხორციელდება 11 (10 აქტიურ საგამოცდო და ერთ დასვენების) სადგურზე. თითოეულ სადგურზე სტუდენტს ეძლევა 6 წუთი და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე ფასდება მისი პრატიკული, ანალიტიკური, კომუნიკაციური, დასკვნის გამოტანის და სხვა უნარები.

X სემესტრის დამამთავრებელ ინტეგრირებულ გამოცდასთან მიმართებით გამოიკვეთა რამდენიმე საყურადღებო საკითხი, კერძოდ, გარკვეული შეუსაბამობა კურიკულუმის ამ ნაწილის ინტეგრაციის ხარისხს/სტრუქტურასა და გამოცდის ფორმატს შორის, საყურადღებოა გამოცდაზე დაშვების წინაპირობაც. კერძოდ, X სემესტრის არ არის სრულად ინტეგრირებული, მოიცავს 6 სავალდებულო სასწავლო კურსს, რომელთაგან ორი ინტეგრირებული მოდულის სახით ისწავლება („ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია“, „ყბა-სახის ქირურგია 4 და იმპლანტოლოგია“), ხოლო დანარჩენი ოთხი („ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია“, „ორთოდონტია 4“, „კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია 2“ „კომუნიკაციის უნარები“) - დამოუკიდებელი კურსების სახით. შესაბამისად, თითეულ ინტეგრირებულ მოდულს, თუ დამოუკიდებელ კურსს აქვს კონკრეტული მიზნები და სწავლის მოსალოდნელი შედეგები. სემესტრის ბოლოს კი, ტარდება დამამთავრებელი ინტეგრირებული თეორიული გამოცდა. მისი შინაარსი შედგება 5 სასწავლო კურსის თემატური საკითხებისგან („კომუნიკაციის უნარები“-ის გამოკლებით) მათი კრედიტ–მოცულობის პროპორციულად, სადაც შეფასება გამოითვლება გარკვეული ალგორითმით. გამოცდა ტარდება თსსუ-ს საგამოცდო ცენტრში, ტესტურად, პროგრამული ფორმატით. დამოუკიდებელი კურსი „კომუნიკაციის უნარები“ კი, ფასდება OSCE-ით, რაც, უდავოდ, წარმოადგენს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების საუკეთესო ინსტრუმენტს.

რაც შეეხება ინტეგრირებულ გამოცდაზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობას, პროგრამის აღწერაში განმარტებულია, რომ აუცილებელია ბლოკში შემავალი ყველა სასწავლო კურსში შუალედური შეფასების ე.წ. წინასაგამოცდო ბარიერის გადალახვა, რომელიც შეადგენს 27 ქულას. ერთ-ერთ სასწავლო კურსშიც კი ამ წინაპირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს უკუჩვენებას გამოცდაზე დაშვებისთვის. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ყველა „დაინტეგრირებულ“ სასწავლო კურსს გადის თავიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამამთვარებელი სემესტრის გამოცდასთან მიმართებაში, სტუდენტთა ინტერესების მეტად გათვალისწინების და შეფასების სისტემის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს ფინალური გამოცდის ფორმატი და მასზე დაშვების წინაპირობები.

ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ 2021/2022 სასწავლო წლის დამამთავრებელი სემესტრის ბოლოს დაგეგმილია საპილოტე ინტეგრირებული OSCE-ის განხორციელება, რომელიც მეტად სრულყოფილს გახდის სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე სტუდენტთა კლინიკური კომპეტენციების შეფასების შესაძლებლობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტის მზაობას პოსტდიპლომური განათლებისა და მომავალი საექიმო საქმიანობისთვის .

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი; ○ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; ○ ელექტრონული პორტალი; ○ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები; ○ ვებგვერდი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს X სემესტრში მოდულური სწავლების სპეციფიკა,ასევე ფინალური გამოცდის ჩაბარების დეტალები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ საპილოტე ინტეგრირებული OSCE
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ შეფასების თითეული მეთოდისთვის გაწერილი მკაფიოდ ჩაშლილი გაზომვადი კრიტერიუმები ქულების გრადაციით
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწოფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის რუსულენოვანი პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები რაც შეადგენს კვირაში ორ საათს (საბჭოს დადგენილება „თბილისის სახელმწიფოს სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ“). საკონსულტაციო საათების განრიგი დგება სემესტრის დასაწყისში და ადმინისტრაცია გადასცემს ამ ინფორმაციას სტუდენტებს. აღსაღნიშნავია, რომ წინა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ყველა სილაბუსში იქნა შეტანილი ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ, რაც უფრო მეტად უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას. ინტერვიუების დროს სტუდენტბმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ლექტორები ყოველთვის მზად არიან სტუდენტებს დრო გამოუყონ და ელექტრონული ფოსტით და ტელეფონითაც ხდება კომუნიკაცია. ამასთან ერთად, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ეხმარება სტუდენტებს, რომ მათ წარმატებით და ეფექტურად დაგეგმონ თავიანთი სასწავლო პროცესი. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი გრძნობენ ადმინისტრაციისგან მხარდაჭერას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვისა, სწავლის და სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

(https://tsmu.edu/ts/content/7/135/92/185/0/0), რაც პოტენციურ სტუდენტებს უადვილებს ინფორმაციის მოძიებას და აძლევს უფლებას რომ თავისით მართონ რიგი პროცესები. ასევე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ პროგრამაზე უმეტესად მოხვდნენ მეგობრის, ნაცნობის ან ნათესავის რეკომენდაციით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ პროგრამას ყავს კმაყოფილი კურსდამთვრებულები/სტუდენტები.

ასევე აღსაღნიშნავია, რომ თსსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი "სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის" მიხედვით, იმ სუდენტებისთვის რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას და სპეციალურ გაგრძელების ხელშეწყობას, შესაძლებელია საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდური სასწავლო გეგმა შედგეს. აღნიშნული აძლევს შესაძლებლობას, რომ პროგრამა მოერგოს სტუდენტს და მის მოთხოვნილებებს და იმაზე მეტყველებს რომ ადმინისტრაცია ცდილობს რომ ყველანაირად შეუწყოს ხელი სტუდენტებს.

ინტერვიუების პროცესში, გამახვილებული იყო ყურადღება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებზე. აღნიშნული გამოკითხვები ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს და ყველა სტუდენტს აქვს უფლება, რომ შეავსოს და დააფიქსიროს მისი მოსაზრებები/შენიშვნები. სტუდენტებთან საუბრის შემდეგ ნათელი იყო, რომ გამოკითხვები სრულფასოვნად ტარდება და ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს. ასევე ფაქტია, რომ თვითშეფასების ჯგუფში მონაწილეობდა ერთი სტუდენტი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდნეტებს მისი სახით ასეთი ფორმითაც გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებენ უფრო მეტ პრაქტიკულ გამოცდილებას მაგრამ ამ პერიოდში ისიც არის გასათვალისწინებული, რომ კოვიდის დროს მკაცრი რეგულაციების გამო რთული იყო ადგილზე პრაქტიკის ჩატარება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კოვიდის პერიოდში გაცდენილი პრაქტიკები იყო ანაზღაურებული იმ პერიოდში, როდესაც რეგულაციები გაუმჯობესდა. კოვიდის პერიოდში ასევე იყო შექმნილი პატარა ჯგუპები, რომ სტუდენტებს შეძლებოდათ ის პრაქტიკული გამოცდილება მიეღოთ, რაც მომავალი სტომატოლოგისთვის აუცილებელია. ასევე, ადმინისტრაციის მიერ იყო აღნიშნული, რომ იმ შემთხვევებში, თუ სტუდენტები ვერ ახერხებდნენ დაგეგმილ დროს ფიზიკურად ყოფნას უნივერსიტეტში, მათ ინდივიდუალური გრაფიკით უგეგმავდნენ მეცადინეობებს.

სტომატოლოგიისა და მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის მიერ სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ადგილობრივი თუ უნივერსიტეტგარე ღონისძიებების, პროექტებისა და კონფერენციების შესახებ ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, თუმცა კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ თითქმის არცერთ კურსდამთავრებულს არ ჰქონდა ამ პროცესებში მიღებული მონაწილეობა სტუდენტობის დროს. ეს შესაძლებელია იყოს განპირობებული ინფორმაციის სათანადო არ გადაცემით ან დაბალი დაინტერესებით. ამ შემთხვევაში, კარგი იქნება სტუდენტებს მიეწოდოთ ზუსტი ინფორმაცია როგორც ღონისძიებების, აგრეთვე ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მათთვის სარგებლობის შესახებ, მათი დაინტერესების გაზრდის მიზნით.

თსსუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურადაა ჩართული სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სოციალური და გასართობი პროგრამების განხორციელებაში. რუსულენოვანი პროგრამის განხორციელების დროს ერთ-ერთი სირთულე გამოიხატება სტუდენტებისთვის კარგი გარემოს შექმნაში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის თვითმართველობის მიერ იმართება ბევრი სხვადასხვა ღონისძიება. ამის მაგალითები არის ექსკურსიები, წვეულებები და კონცერტები, რომლებიც იმართება მთელი უნივერსიტეტის მაშტაბით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თავი იგრძნონ უნივერსიტეტის მნიშვნელოვან წევრად და დაამყარონ სხვა ფაკულტეტების და სხვა ეროვნების სტუდენტებთან ურთიერთობა.

სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა გამოთქვეს ქართული ენის კომპონენტის გაძლიერების სურვილი პროგრამაში. სტომატოლოგიის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები გეგმავენ საქართველოში სწავლის გაგრძელებასა და დასაქმებას ან/და რეზიდენტურაში ჩაბარებას, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია ქართული ენის შესაბამის დონეზე ცოდნის გარეშე . ამასთან, დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს უწევთ კლინიკებში ქართულენოვან პაციენტებთან კომუნიკაცია, რომლებიც არ ფლობენ რუსულ ენას. ინტერვიუზე აღნიშნული იყო, რომ ამ შემთხვევაში ლექტორი ეხმარება სტუდენტებს თარგმნაში, ან ცდილობენ მოიფარგლონ რუსულ ენოვანი პაციენტებით. ზემოაღნიშულის მიუხედავ, სასურველი იქნება, ქართული ენის სწავლების გაძლიერება, ვინაიდან პროგრამის სტუდენტებს რამოდენიმე წელი უწევთ საქართველოში ყოფნა, ასევე ზოგიერთი მათგანი საქართველოში ფიქრობს მოღვაწეობის გაგრძელებას. შესაძლებელია დამატებითი ქართული ენის კურსები აგრეთვე იყოს დამატებული როგორც არჩევითი კურსი, რაც კომუნიკაციური უნარების გაძლიერებას გამოიწვევს, რაც მათი პრაქტიკული საქმიანობისათვის და პაციენტთან უერთიერთობისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის მიერ ან გარე ჩატარებულ ღონისძიებებში • გაძლიერდეს ქართული ენის სწავლების კომპონენტი • კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და შეესაბამება მათი დატვირთვის სქემას. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც წარმოებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა ,დატვირთვა ასახულია უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მარეგულირებელ დოკუმენტში. მოწვეული პერსონალის უფლება-მოვალეობები ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში. ამჟამად, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს 81 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათგან 60 აკადემიური ხარისხით, ხოლო მოწვეულია 21. უნივერსიტეტთან კი აფილირებულია 60 პირი. აქვე უნდა აღინიშნოს,რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი წარმოდგენილია (60/21) თანაფარდობით,რაც მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება,იგი უშუალოდ მონაწილეობს პროგრამის განხორციელება-მოდიფიცირებაში. პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორია. მას გააჩნია პედაგოგიური საქმიანობის მრავალწლიანი სტაჟი. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი, ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის 2 მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დეკანატის დამხმარე პერსონალი. პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის კომპეტენციები მათი პირადი საქმეებით დასტურდება. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან საჭირო რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე კადრებით,რაც სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა. ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და უფლებები რეგულირდება დებულებით.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ο აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
ο პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
ο პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
ο პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;

o პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი დეპარტამენტების მითითებით; o პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით; o აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი; o სასწავლო კურსების სემესტრული გეგმა o ინტერვიუს შედეგები o უსდ-ს ვებ-გვერდი ○
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივესიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დეპარტამენტების მონაწილებით შედგენილია კითხვარები, რომელსაც სტუდენტი ავსებს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და პედაგოგის შეფასების მიზნით და სემესტრის/კურსის ბოლოს. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დოკუმენტირებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის კრიტერიუმები. კითხვარების ანალიზი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს განსაზღვროს, თუ როგორ აფასებს სტუდენტი ამათუ იმ სასწავლო კურსსა და პედაგოგს. კითხვარის შევსება ანონიმურია. მონაცემები გადაეცემა პროგრამის/დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის დეკანსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები განიხილება დეპარტამენტის სხდომაზე და შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე, ან/და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად კონკრეტულ აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფასდება არამხოლოდ სასწავლო, არამედ სამეცნიერო საქმიანობის მიხედვითაც. სწორედ შეფასების შედეგის საფუძველზეა შესაძლებელია მოხდეს პერსონალის დაწინაურება- წახალისება.

ინტერვიუს პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაკების მიერ აღინიშნა,რომ ინერგება პერსონალის 360 გრადუსით შეფასების სისტემა.

უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. თვითშეფასების კითხვარის,მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, ერთსაფეხურიანი სასწავლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო,კვლევით საქმიანობაში.აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში ხაზი გაესვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მხარდაჭერას საერთაშორისო კონფერენციებს, კონგრესებსა და ვორქ–შოპებში მონაწილეობაში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებს,რომელთაც ახორციელებს უნივერსიტეტში, აკადემიური განვითარების ცენტრის ბაზაზე.რეგულარულად ხორციელდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების ტრენინგები სამი მიმართულებით:

- სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია
- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) - ჩატარების და შეფასების მეთოდოლოგია
- სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში

ადგილობრივ და საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში, სემინარებზე,მასტერ–კლასებში აკადემიური

პერსონალის მონაწილეობა ხორციელდება უნივერსიტეტის მხრიდან სრული ან თანადაფინანსებით.პერსონალის საზღვარგარეთ ტრენინგებში მონაწილეობის ფაქტები აღინიშნა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში. თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებში, სამეცნიერო გრანტებში. პერსონალის ზედმიწევნითი ინფორმირებისთვის გამოიყენება მედია–საშუალებები,უნივერსიტეტის ვებ-გვერდი,ეწყობა შეხვედრები აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თსსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი o საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; o თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; o თსსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი; o ინტერვიუს შედეგები o თსსუ ს ვებგვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით: უნივერსიტეტის საკუთრებაშია არსებული 5 მსხვილი კლინიკური ბაზა სასწავლო-კლინიკური აქტივობების განხორციელებისათვის. სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო სივრცე შედგება: სასწავლო აუდიტორიები,სხვადასხვა სასწავლო ინვენტარით, სასწავლო ლაბორატორიები,საკონფერენციო დარბაზები, საფანტომო და სიმულაციური კლასები, კლინიკური და სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი. ეს დადასტურდა კლინიკური ბაზებისა და ბიბლიოთეკის მონახულებისას. ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე. ბიბილიოთეკით სარგებლობისას მოქმედებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესები. ბიბლიოთეკაში მომსახურება ხორციელდება ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. მნიშვნელოვანია,რომ სტუდენტებისა და პედაგოგების მომსახურება ხორციელდება როგორც ადგილზე, ასევე ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის მეშვეობით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია (საბოლოო აღრიცხვით - 330058 ეგზემპლარი). ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სრული წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება ჟურნალებში,კატალოგებში, ასევე ელექტრონულად, სადაც მასალების შევსებაც მუდმივ რეჟიმში ხდება.გამოიყენება საბიბლიოთეკო პლატფორმა Koha-ს .

ელექტრონული კატალოგი განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: http://new.tsmu.edu/library/. საძიებო სისტემა მარტივია,რაც ხელმისაწვდომს ხდის შესაბამისი ლიტერატურული წყაროს მოძიებას. ლიტერატურის განახლება ყოველწლიურად ხდება დეპარტამენტების წარმომადგენელთა, მეცნიერ-თანამშრომელთა და სტუდენტთა მოთხოვნების შედეგად.. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გააჩნია ფართო წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე: ➢ თსსუ-ს შეძენილი აქვს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) მოხმარების ლიცენზია. ➢ რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა საგამომცემლო კორპორაცია Elsevier-ის ორ საძიებო ბაზაზე: • ScienceDirect და Scopus. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურითა და სხვა სასწავლო მასალით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. აღსანიშნავია,რომ ინტერვიუს დროს

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულბემა აღნიშნეს,რომ მათთვის მარტივი და უფასოა წვდომა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან.უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი ელექტრონული საგამოცდო პროგრამის საშუალებით ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად ონლაინ რეჟიმში. უნივერსიტეტში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები,ტექნიკური უსაფრთხოება.ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა, მოწესრიგებული სველი წერტილები.,ლიფტები.არსებობს სივრცეები შშმ პირთა გადაადგილებისათვის. ვიზიტისას ადმინისტრაციულმა პერსონალმა ისაუბრა უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსში ჩატარებული გამაგრებითი სამუშაობის დასრულებისა და კორპუსის სარეკონსტრუქციო- სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში o ვიზუალური დათვალიერება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი ხასიათდება ზრდის ტენდენციით.ინუვერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, 2020 წელს პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 850 000 ლარი, 2021 წელს - 900 000 ლარი, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტში შემოსავალი შეადგენს 950 000 ლარს. რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

ბიუჯეტში ზედმიწევნით არის აღნუსხული ადმინისტრაციული,აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურების ხარჯები,ასევე ხარჯები კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირებისათვის,საბიბლიოთეკო რესურსის განახლებისათვის, კონფერენცია-სემინარებისათვის, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის,სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისათვის,ასევე,საგამოფენო,კულტურული,სპორტული ხარჯები.

პროგრამის ბიუჯეტი ეკონომიკურად რეალისტური, მიღწევადია და მოიცავს პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ და დამატებით ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტის დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები განაპირობებენ პროგრამის მდგრადობას.
ინტერვიუს პროცესში ხაზი გაესვა დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის მატების ფაქტს,რაც განპირობებულია სტუდენტების მხრიდან აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის
მზარდი ინტერესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - **„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“**. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგებზე დაფუძნებით, პროგრამა პერიოდულად ექვემდებარება გადახედვასა და გაუმჯობესებას. ხარისხის შეფასების შედეგები ეცნობება პროგრამის განმახორციელებელ პირებს, განიხილება შეხვედრებზე შესაბამის დეპარტამენტ(ებ)თან ერთად, ასევე ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებზე. პროგრამაში, ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს არაერთი ცვლილება, მათ შორის - არჩევითი სასწავლო კურსების დამატება, შეფასების კომპონენტების დეტალიზება და სხვ. აღსანიშნავია, რომ, სწავლებისა და შეფასების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პერიოდულად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის გადამზადება სხვადასხვა თემატიკაზე: სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა - ჩატარებისა და შეფასების მეთოდოლოგია, სწავლების, სწავლის და შეფასების თანამედროვე მიდგომები. პროგრამის გაუმჯობესება მიმდინარეობს სასწავლო რესურსების, მათ შორის, როგორც სახელმძღვანელოებისა და „ჰენდაუთების“, ასევე მატერიალური რესურსის - ფანტომებისა და მულაჟების კუთხით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა ექვემდებარება უწყვეტი განვითარების პრინციპს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის შესაბამისად, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია დამსაქმებლებისა და სტუდენტების ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. კერძოდ, აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების (2020 წლის სააკრედიტაციო პროცესში მიღებული) შესრულების მიზნით, თსსუ-ში ჩამოყალიბდა თვითშეფასების ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, შედიოდნენ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი და სტუდენტი.

თვითშეფასების პროცესი მიმდინარეობდა 2021 წლის 17 ნოემბრიდან, განახლებული პროგრამა 2022 წლის 28 იანვარს განიხილა მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტმა. განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა განხილული იქნა როგორც ფაკულტეტის (10.02.2022), ისე აკადემიურ საბჭოზე (24.02.2022). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის განვითარების პროცესი, წარიმართა ფართო ჩართულობით. რაც შეეხება თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს იდენტიფიცირებულ გასაუმჯობესებელ მხარეებს, გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები და დასახულია სამომავლო აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუების შედეგები; ○ ამონაწერი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმიდან N24/9, 24 თებერვალი, 2022 წელი; ○ თსსუ დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; ○ ამონაწერი თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტისა და მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის გაერთიანებული საბჭოს სხდომიდან, 10.02.2022; ○ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი; ○ გამოკითხვის შედეგები: დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამის სტუდენტთა აზრის კვლევა სასწავლო კურსების განხორციელების/სასწავლო დეპარტამენტების მუშაობის შესახებ ; თსსუ-ის აკადემიური პერსონალის აზრის კვლევა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით; თსსუ-ის საერთაშორისო (რუსულენოვანი) პროგრამების სტუდენტთა აზრის კვლევა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით; ხარისხის შიდა მექანიზმების ინსტრუმენტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის. კერძოდ, გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება ორი მიმართულებით:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული შეფასება.
საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია **2012 წლიდან,** ხოლო პირობითი აკრედიტაცია მოიპოვა **2020 წლის 14 აგვისტოს (გადაწყვეტილება MES 7 20 0000750413)**.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული საანგარიშო პერიოდში.
საგანმანათლებლო პროგრამის **კოლეგიური, დარგის ექსპერტის მიერ განხორციელებული შეფასება**. რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყენებულია კოლეგიური (ადგილობრივი დარგის სპეციალისტის) გარე შეფასება.

როგორც აღინიშნა, პირობითი აკრედიტაციის მოპოვების შემდგომ, დაწესებულებამ შეასრულა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, ასევე აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია (**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 3 20 0000750239, 31/08.2020**), კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და მიზნები მოვიდა შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
- ზედმიწევნით გაიწერა ქულების მინიჭების კრიტერიუმები შეფასებისას;

ჩაინიშნა საკონსულტაციო საათები სილაბუსებში;

- განახლდა ლიტერატურა საბაზისო საგნებში (ლიტერატურა განახლებულია, თუმცა პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს და ლიტერატურა პერიოდულად ექვემდებარება/დაექვემდებარება განახლებას).

აღსანიშნავია,რომ პირობითი აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში ზემოთჩამოთვლილის გარდა განხორციელდა ცვლილებები სტუდენტის მიღწევის შეფასების წესში.ის ამოქმედდა 2021/2022 სასწავლო წლიდან. მნიშვნელოვანია,რომ დეტალიზდა დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა. ასევე, სააკრედიტაციო პერიოდში განხორციელდა პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტის გაერთიანება ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტთან. გაერთიანდა კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის და ფანტომური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტები და შეეცვალა სახელწოდება. დეპარტამენტს დაერქვა ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი.საბაზისო სილაბუსების გარდა განახლდა სპეციალური კურსების ძირითადი და დამხმარე რუსულენოვანი ლიტერატურა. ბოლო წლებში პაროდონტოლოგიაში მიმდინარე ძირეული ცვლილებების შესაბამისად, თსსუ-ს რუსულენოვანი პროგრამის სილაბუსები- „პრეკლინიკური პაროდონტოლოგია“, „კლინიკური პაროდონტოლოგია“ და „პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები ბავშვთა ასაკში“ მოდიფიცირდა, შესაბამისი რუსულენოვანი ლიტერატურის ბაზარზე არ არსებობის გამო დამატებულია ე.წ. „ჰენდაუთები“, რომელიც ახალი კლასიფიკაციის შესაბამისად (პაროდონტის კომპლექსის და პერიიმპლანტის მდგომარეობები და დაავადებები) უცხოენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობითაა შემუშავებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით (თავი IV, მუხლი 9, პუნქტი 1, დამტკიცებული სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით). ამავე წესის მე-10 მუხლის მეორე პუნქტით პროგრამის გარე შეფასება განსაზღვრულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი.

სააკრედიტაციო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი გარე შეფასების დასკვნა ნაკლებად არის დეტალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, სწავლების, სწავლის და შეფასების მეთოდების მიმართულებით, თუმცა, ფარავს სხვადასხვა საკითხს, მათ შორის სტუდენტურ სერვისებს. რეკომენდაციები შეფასების შედეგად გაცემულია სასწავლო რესურსებისა და პროგრამის სტუდენტების საუნივერსიტეტო, ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართვის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 3 20 0000750239, 31/08.2020.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია წარმოდგენილია როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის დონეზე. თითოეულ ფაკულტეტზე წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ერთეული. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის, დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამის) ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის თანამშრომლობა მჭიდროა და ემსახურება პროგრამის განვითარების მიზნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც აღინიშნა დასკვნის 5.1 სტანდარტის კომპონენტის აღწერილობით ნაწილში, პერიოდულად ვითარდება ხარისხის უზურუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები (მათ შორის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კითხვარი). სისტემატურად ხდება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და მათი გაცნობა შესაბამისი დეპარტამენტებისთვის, განხილვა და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება.დისტანციური/ჰიბრიდული სწავლებისას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასა დისტანციური სწავლების მიმდინარეობის პროცესი, ფასდება პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგებით პერსონალის კმაყოფილება. სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის შეფასების პროცესებში (გამოკითხვა).

პროგრამისთვის ასევე შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია 2023 წლიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები არ მოიცავს სამიზნე ნიშნულები არ მოიცავს სამიზნე ნიშნულებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი გზით შეფასებისთვის, ისევე როგორც ინფორმაციას, თუ რომელი კომპონენტის ფარგლებში შეფასდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სასურველია, შეფასების დაწყებამდე, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და დაემატოს ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი კომპონენტის ფარგლებში, კონკრეტულად რა შეფასების ფორმებით მოხდება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება; ასევე, განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები პირდაპირი შეფასების მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

პერიოდულად იხვეწება ასევე ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ინსტრუმენტები. ამის მაგალითია სტუდენტთა გამოკითხვა, რომელმაც მატერიალური, ხელით შევსებული კითხვარებიდან გადაინაცვა პლატფორმაზე „SurveyMonkey". მიმდინარეობს კითხვარების ინტეგრირება ელექტრონულ პორტალზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუს შედეგებით დასტურდება სტუდენტთა გამოკითხვის პერიოდულობა და ეფექტიანობა. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა დამსაქმებელთა გამოკითხვისა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები/ანალიზი. მართალია, უნივერსიტეტმა განახორციელა დამსაქმებელთა გამოკითხვა და შესაბამისი ანალიზი, ინტერვიუების შედეგად, დამსაქმებელთა ჩართულობა გამოკითხვებსა თუ ფოკუს-ჯგუფებში, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, მოდიფიცირების თუ შემუშავების პროცესში გამოიკვეთა როგორც ერთ-ერთი გასაუმჯობესებელი საკითხი.

ამ დროისთვის ასევე გამოწვევად რჩება კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე თვალის დევნება და მათთან კავშირის შენარჩუნება - კურსდამთავრებულებს, საგანმანათებლო პროგრამით სწავლით დასრულების შემდეგ, არ აქვთ კავშირი უნივერსიტეტთან. კურსდამთავრებულს არ მიუღია მონაწილეობა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათი პროგრესიის (სწავლის გაგრძელება შემდგომ საფეხურზე) შესახებ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დაწესებულებას ზემოაღნიშნული გასაუმჯობესებელი მხარე იდენტიფიცირებული აქვს და მიმდინარეობს მუშაობა მის გადაჭრაზე - მიმდინარეობს მუშაობა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის წევრები; ○ ინტერვიუების შედეგები; ○ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი; ○ გამოკითხვის შედეგები: დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამის სტუდენტთა აზრის კვლევა სასწავლო კურსების განხორციელების/სასწავლო დეპარტამენტების მუშაობის შესახებ ; თსსუ-ის აკადემიური პერსონალის აზრის კვლევა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით; თსსუ-ის საერთაშორისო (რუსულენოვანი) პროგრამების სტუდენტთა აზრის კვლევა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით; ○ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი; ○ დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები; ხარისხის შიდა მექანიზმების ინსტრუმენტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა კურსდამთავრებულთა პროგრამის განვითარებაში ჩართულობისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება,საფეხური:

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვლადიმერ მარგველაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო წილოსანი

თამარ ლომიძე

თინათინ გაბრიჩიძე

ეკატერინე ბუაძე